RICDOG

იყავი აქტიური ყველგან და ყოველთვის!

სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"

ბაიბე მეტი ჩვენზე:
www.ricdog.org

ანგარიში

2021 (12) – 2022 (12)

ნოემბერი, 30, 2022

სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
გენერალური მდივანი: ლანა თოთაძე

ორგანიზაციის 2022 წლის პრიორიტეტები:

- ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;
- ორგანიზაციის სტრუქტურის განვითარება და გაძლიერება;
- ორგანიზაციისთვის საკადრო საჭიროებების გამოვლენა და საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა;
- პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა და საგრანტო პროექტების განხორციელება;
- ორგანიზაციის იმიჯის განვითარება.

1). ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა

ორგანიზაცია 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ნოემბრის თვის საანგარიშო პერიოდში აქტიურად აგრძელებდა მუშაობას ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისათვის. ორგანიზაციის სტრუქტურის, ფონდების მოძიების სისტემების გამართვისა და ორგანიზაციის წევრის აქტიურად ჩართვის მიმართულებით მიმდინარეობდა აქტიური სამუშაოების განხორციელება. 1. ორგანიზაციაში ფუნქციონირებს პროექტების წერის ჯგუფი, რომლის მუშაობაში ჩართულია როგორც ორგანიზაციის წევრები ასევე გარეშე პირები, მათ შორის ორგანიზაციის გამგეობიდან 3 ადამიანი. 2. ორგანიზაციაში აქტიურად მუშაობს ფონდების მოძიების ჯგუფი, რომელშიც ჩართულია 3 წევრი (მოგვიანებით აღნიშნული ჯგუფი რეორგანიზდა და სხვადასხვა ინდივიდებზე დანაწილდა მიმართულებები).

ამ დროისთვის საპროექტო ჯგუფის მიერ წლის განმავლობაში დაიწერა 9 პროექტი საიდანაც დაფინანსდა 9 („მოხალისეთა პოპულარიზების პროგრამა“ „Meet up” “მერების შეთანხმების მონიტორინგი და ადვოკატირება“, “ქუთაისის მრჩეველთა საბჭო“ UNDP “მეღვინეობის პოპულარულების პროგრამა“, იაპონიის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტი “Provision of Sewer cleaner Vacuum Truck for Kutaisi City and neighor 3 cities” “YOUTH FOR YOUTH” კოლეჯ იბერიასთან თანამშრომლობით - “ძლიერი თვითმმართველობა-აქტიური ახალგაზრდებისთვის"; კონსტრუქტორ 2-თან თანამშრომლობით „**შეიქმენი მომავალი**“ და “ART is FUN”.
ორგანზიაცია აქტიურად მუშაობს სხვადასხვა უწყებებთან როგორიცაა ქუთაისისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები და კოლეჯებთან “იბერია” და “კონსტრუქტორ 2”. სწორედ კოლეჯ იბერიასთან თანამშრომლობით დაიწერა პროექტი მეღვინეობაზე. პროექტი დაფინანსდა UNDP-ის მიერ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბაღდათს ექნება მეღვინეობის აკრედიტირებული ფაკულტეტი და შეიქმენა ღვინის ლაბორატორია. ხოლო

“ძლიერი თვითმმართველობა - აქტიური ახალგაზრდებისთვის" შეიქმნება კოლეჯ იბერიაში სტუდენტური თვითმართველობა. გარდა ამისა, ორგანიზაციამ იმუშავა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე, რომელიც დაფინანსებულია. პროექტის ღირებულება შეადგენს 79600$. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია მუნიციპალიტეტს გადასცემს საჩუქრად მძიმე ტექნიკას, რომელიც ქუთაისში, წყალტუბოში, ხონსა და სამტრედიაში კანალიზაციისა და სანიაღვრე წყლის სისტემების გამართულად ფუნქციონირებას შეიწყობს ხელს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში „თაობათა დიალოგმა“ შეასრულა მონიტორინგის ფუნქცია. ამ ეტაპზე დასრულდა პროექტით გათვალისწინებული ყველა პროცედურა. მათ შორის აუდიტის მიერ დადებული დასკვნა და იაპონიის საელჩოს გადაეგზავნა ანგარიში. უახლოეს პერიოდში იგეგმება გახსნითი ღონისძიება, რომელსაც დაესწრება იაპონიის ელჩი. პროექტის დასრულების შემდეგ ორგანიზაცია აქტიურად გაუწევს მონიტორინგს ტექნიკის შემდგომ მოვლა/გამოყენებას.

ორგანიზაციაში ბოლო 1 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტებია:

1. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მეირ დაფინანსებული პროექტი „ახალგაზრდებში მოხალისეობის პოპულაიზების პროგრამა“ - ბიუჯეტი- 10 000 ლარი;
2. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მეირ დაფინანსებული პროექტი „ქუთაისის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო „: ბიუჯეტი - 10 000ლარი;
3. PH International-ის მიერ დაფინანსებული პროგრამა „ინგლისური ენის შესწავლის სასტიპენდიო პროგრამა“ (ACCESS) - ჯამური თანხა შეადგენს 5000$ (14 000ლარის ექვივალენტი ლარში);
4. TC “V.D.O Makers” რომელიც დაფინანსებულია ERASMUS+ ფარგლებში - ჯამური თანხა შეადგენს 9888 EURO (21 897 ლარი);
5. “YOUNG POWER” ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი - რომლის ბიუჯეტია 5030 EURO (15 593 ექვივალენტი ლარში);
6. იაპონიის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტი რომლის ჯამური თანხაა 79 000 დოლარი (251, 664 ექვივალენტი ლარში);
7. “MEET UP” პროექტი რომლის ჯამური ღირებულებაა 1000 ევრო (დაახლოებით 3100 ლარი);
8. უკრაინული პროექტები „Resource and Analysis Center“ და “Society and Environment რომელთა საერთო ბიუჯეტია 11 945 EURO – (37 029,5 ლარი);
9. ერთობლივი პროექტი იბერიასთან “ძლიერი თვითმმართველობა- აქტიური ახალგაზრდებისთვის” შეადგენს 9400 ლარს;
10. პროექტი კონსტრუქტორ 2 ერთად “შექმენი მომავალი” შეადგენს დაახლოებით 3000 ლარს;

11. გერმანული ორგანიზაციის “BIWI” განსახორციელებელი გაცვლითი პროექტის ღირებულება შეადგენს 21 221,5 ლარს;
12. UNDPის მიერ დაფინანსებული პროექტი „მეღვინეობის პოპულარიზებიბს პროგრამა“ - ბიუჯეტი 7000 ლარი;
13. USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის 1 წლის ბიუჯეტი შეადგენს 83 700$ საიდანაც ამ დრომდე ორგანიზაციას დაერიცხა 32 323,54 ლარი;
14. ორგანიზაციის ძველი ნივთების გაყიდვიდან მიღებული თანხა შეადგენს 250 ლარს.

პროექტები:

ორგანიზაცია 2021 წლიდან აქტიურად აგრძელებდა თანამშრომლობას ორგანიზაცია PH Internacional-თან და ახორციელებდა ACCESS პროგრამას. პროექტის მიზანია ინგლისური ენის შესწავლა სოციალურად დაუცველ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ახალგაზრდებისთვის. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობს სულ 34 ადამიანი იღებს. აქსესის პროგრამის მონაწილეები აქტიურად არიან ასევე ჩართლები ორგანიზაციის სხვადასხვა პროგრამებსა თუ ტრადიციულ ღონისძიებებში, გარდა ამისა მათთან რამოდენიმეჯერ მოხდა სხვდასხვა საინფორმაციო ტიპის შეხვედრის ჩატარება, კერძოდ აღნიშნული პროგრამის მონაწილეები ჩართულები იყვნენ RICDOG ტრადიციული ღონისძიებებში როგორიცაა: დედამიწის დღე, სიკეთის ეპიდემია, მოხალისეთა კლუბი, ვორქშოფები, და „ის მაინც არსებობს“. აღსანიშნავია რომ ACCESS სამი მონაწილე დღეს RICDOG წევრია.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით 2021 წელს ორგანიზაციამ დაიწყო 2 პროექტის განხორციელება, პროექტის „ახალგაზრდებში მოხალისეობის იდეის პოპულარიზების პროგრამა“ პროექტის მიზანია მოხალისოების პოპულარიზება და ახალგაზრდების ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში. პროექტში სულ 20 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

პროექტის წარმატების ინდიკატორად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის გარემოება რომ პროექტის ფარგლებში 20 მონაწილიდან 2 ადამიანი გახდა ორგანიზაციის წევრი, ხოლო 6 მონაწილე დარჩა ორგანიზაციის მოხალისეთა კლუბში.

ასევე გაიზარდა ცნობადობა და იმიჯი ორგანიზაციის შესახებ. პროექტის ფარგლებში შეიქმნა დახურული ჯგუფი რომლის წევრია 600-მდე ახალგაზრდა. სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული მასალების ნახვების რაოდენობამ, პოსტებში აუდიტორიის ჩართულობის მაჩვენებელმა (FACEBOOK ნიშნული) და გავრცელების მაჩვენებლებმა პროექტით გათვალისწინებული სამიზნე აუდიტორიის მხრიდან საინფორმაციო კამპანიის განხორციელების პერიოდში 10 000 ადამიანს მიაღწია. პროექტის მონაწილეების ჩართულობით მოხდა მოხალისეობის ფორუმის ორგანიზება, რომელიც პროექტში აღწერილი კომპონენტების მიხედვით განხორციელდა. ფორუმში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა პირმა (მონაწილემ), მათ შორის სპიკერებმა, მოწვეულმა სტუმრებმა - მუნიციპალიტეტიდან, მედია ორგანიზაციებიდან, სკოლების თვითმმართველობებისა და უნივერსიტეტის თვითმართველობის წარმომადგენლებმა.
აღნიშული პროგრამის ფარგლებში ორგანიაზცია აქტიურად თანამშრომლობდა მედიასთან, სულ პროექტის ფარგლებში ვიზიტი განხორციელდა 8ჯერ ადგილობრივ ტელევიზიაში, ასევე დაიბეჭდა სხვადასხვა სახის სტატია.

RICDOG ასევე განახორციელა ქუთაისის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტი „ქუთაისის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო“. პროგრამის მიზანია, ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორცილების პროცესში.
პროექტის ფარგლებში მოხდა ქალაქ ქუთაისის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს შექმნა. შესაბამისი დებულების (წესდების), მუშაობის კონცეფციისა და სტრუქტურის შემუშავება, გაიმართა არაერთი შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან. საბოლოოდ კი პროექტის დასკვნით ნაწილზე მოხდა საჯარო პრეზენტაცი, რომელსა ესწრებოდა აქტიური ახალგაზრდები, მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები. ამ ეტაპზე მიდინარეობს კონსულტაციები რათა მოხდეს მერის მიერ დებულების დამტკიცება რაც საბჭოს მუშაობს გახდის ვალიდურს.
პროექტი RICDOG-ისათვის მნიშვნელოვანი განაცხადია, შექმნას ქალაქში მდგრადი და ძლიერი პლატფორმა, რომელიც ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელოვანი მდგენელი იქნება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ ტელევიზიას 5 ჯერ ვესტუმრეთ. ასევე მომზადდა არაერთი სტატია.

2021 წლის ბოლოს ორგანიზაციამ მიიღო 2 პროექტი უკრაინული პარტნიორი ორგანიზაციისაგან **Resource and Analysis Center "Society and Environment".** ორივე

პროექტს ორგანიზაციის სახელით ახორციელებს ორგანიზაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე ნუგზარ კოხრეიძე.

ერასმუს + დაფინსნებული პროექტის ფარგლებში ესპანეთში მოღვაწე ორგანიზაციასთან პარტნიორობით ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი „V>D>O Makers". ტრენინგ კურსის განმავლობაში მონაწილეებმა შეისწავლეს ვიდეოების მომზადების (ვიდეოწარმოების) ყველა ფაზა და შესაძლებლობა ჰქონდათ მიწეღოთ პრაქტიკული გამოცდილება, თუ როგორ გახადონ პროცესი ეფექტური - პროფესიონალური და ძვირადღირებული აღჭურვილობის გარეშე. სულ პროგრამაში მონაწილება მიიღო 7 ქვეყნის 25 ადამიანმა. პროექტის ფარგლებში მონაწილეები ესქტუმრნენ 6 ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელთა შესახებაც გადაიღეს ვიდეო და გაეგზავნათ ორგანიზაციებს საჩუქრად.

ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „YOUNG POWER" რომლის მიზანი გახლდათ საქართველოში არსებული წარმატებული სოციალური საწარმოების ნახვა და პრაქტიკის გაზიარება. აღნიშული პროგრამაში მონაიწლეობს 6 ქვეყნის 20 მონაწილე იღებდა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ვესტუმრეთ 6 წარმატებულ საწარმოს იმერეთის მასშტაბით და ასევე მოხდა ადგილობრივ თვიმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრა.

USAID - სამოქალაქო განათლების პროგრამა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, PH International - საქართველო იწყებს ახალ, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამას. პროგრამის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობას, ბიზნესისა და სკოლების დაკავშირებას.

პროგრამაში მონაწილეობისთვის შეირჩა 650 სკოლა. სკოლების სია დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამა იმუშავებს მე-7-დან მე-12 კლასის ჩათვლით მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა

ხუთი წლის მანძილზე პარტნიორ სკოლებს დახმარებას გაუწევს შემდეგი მიმართულებებით:

- სამოქალაქო განათლების ინტერაქტიული სასწავლო რესურსების შექმნა;
- სკოლის დირექტორებთან მუშაობა სკოლაში დემოკრატიული კულტურის დანერგვის მიზნით, სკოლის მართვის ფორუმები, დირექტორებს შორის გამოცდილების გაზიარება, ლიდერი სკოლების გამოკვეთა და დაჯილდოება;
- სკოლის დირექტორების მხარდაჭერა მონაწილეობაზე ორიენტირებული დემოკრატიული სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად;
- მოსწავლეთა თვითმმართველობების ქსელის შექმნა და მხარდაჭერა;
- სასკოლო პროექტების დაფინანსება;
- სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა თანამშრომლობის გაძლიერება სკოლაში სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის მიზნით;
- სასკოლო სამოქალაქო კლუბების მხარდაჭერა;
- სამოქალაქო განათლების წლიურ კონფერენცია-გამოფენებში მონაწილეობა;
- მოსწავლებისა და მასწავლებლებისთვის ციფრული ლაბორატორიების, ჰაკათონების, ონლაინ საზაფხულო სკოლების ორგანიზება;
- სკოლასა და უნივერსიტეტს შორის კავშირის გაღრმავება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, ამ დროისთვის ვესტუმრეთ 93 სკოლას, 12-ვე მუნიციპალიტეტის რესურსცენტრს, გაიმართა 4 ტრენინგი 93 სკოლისთვის. დავიწყეთ თვითმმართველობების გაძლიერების მიმართულებით პროექტი “ღია თვითმმართველობა”. პროექტის ფარგლებში მოხდა მედიასთან 5-ჯერ სტუმრობა და არაერთი სტატია დაიწერა პროექტის შესახებ.

პროექტის მასშტაბებიდან გამომდინარე გვეძლევა საშუალება ორგანიზაციის იმიჯისა და ცნობადობის გაიზარდოს იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში.

Game ზონა

გრძელდება ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2020 წელს გახსნილი ახალგაზრდული სივრცის მდგრადობასა და გაძლიერებაზე მუშაობა.

საორგანიზაციო ჯგუფისა და ექსპერტის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი "Game ზონას მდგრადი განვითარების სტრატეგია (2021-2023 წლები)" რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან გზამკვლევს როგორ ხედავს ორგანიზაცია ახალგაზრდული სივრცის განვითარებასა და მდგრადობის მიღწევას.

სტრატეგია აღსრულების ეტაპზეა. აღსანიშნავია ბოლო 1 წლის განმავლობაში გეიმ ზონის მიღწეული შედეგები:

- ბოლო 1 წელიწადში ახალგაზრდულ სივრცეში განხორციელდა 4 000-მდე ვიზიტი, 1 000-ზე მეტი ახალგაზრდის მიერ;
- ახალგაზრდულ სივრცეს 1 წლის განმავლობაში ჰყავს 14 ლიდერი, 15 წევრი;
- განხორციელდა 150-მდე აქტივობა (დაგეგმილი თამაშები, სხვადასხვა ღონისძიებები და სხვა) და მათში მონაწილეობა მიიღო 400-მდე ახალგაზრდამ;
- განხორციელდა 10 პროგრამა, და მათში მონაწილეობა მიიღო 100 -მა ახალგაზრდამ.

აღსანიშნავია ახალგაზრდული სივრცისათვის არაერთი დამატებითი სამაგიდო თამაშისა და რესურსის მოძიება/მოზიდვა, მათ შორის საკანცელარიო და 13 დასახელების თამაშის დამატება.

წელს პირველად გეიმ ზონამ განახორციელა საქველმოქმედო ღონისძიება „ის მაინც არსებობს" რომლის ფარგლებში მათ ესტუმრნენ 2 ოჯახს რომელთა ბავშების რაოდენობა 15 შეადგინა.

წელს პირველად GAME ZONA-მ მიიღო პროექტის დასრულების შემდგომ პირველი პროექტი "YOUTH for YOUTH" რომელიც დაფინანსებული იყო USAID მიერ. პროექტის ფარგლებში გაკეთდა ბანაკი სადაც ბაღდათის მუნიციპალიტეტის 20 ახალგაზრდამ ახაგაზრდული პოლოტიკის მნიშვნელობის შესახებ გაიარეს ინტესიური სწავლება. პროექტის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები კვლავაც აგრძელებენ აქტიურად მუშაობას სივრცეში და მათგან 5 ახალგაზრდამ გამოხატა მზაობა გახდეს Game ზონას ლიდერი. გარდა ამისა, პროექტის წარმატების მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ის ფაქტიც რომ პროგრამის ერთ-ერთმა წევრმა ნინი თავხელიძემ თავად შექმნა თანატოლგანმანათლებელთა პროგრამა, რომელშიც ჩართული იყო 20-ზე მეტი ახალგაზრდა.

წელს პირველად ორგანიზაციამ GAME ZONA ბაღდათის მერს და ბაღდათს საკრებულოს წარუდგინა 1 წლიანი ანგარიში, ასევე განიხილა მათთან ერთად სამომავლო გეგმები და გეიმ ზონაში არსებული გამოწვევები.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტრუქტურით გათვალისწინებული არჩევნების ორგანიზება რომელსაც კოორიდინირებს გამგეობის წევრი - დიანა აბულაძე.

RICDOG მოხალისეთა პროგრამა

ორგანზიციაში მოხალისეთა კლუბი წლის განმავლობაში 3-ჯერ განხორციელდა რომელთა მონაწილეთა საერთო რაოდენობა 59 შეადგინა.

ნეირო ლიდერობის პროგრამა (NLP)

NLP პროგრამა 1 წლიანი შესვენების შემდეგ კვლავაც აღდგა ორგანიაციაში ახალი ფორმატითა და რიგი ცვლილებებით, კერძოდ პროგრამა დაიყო 3 ფაზად, საიდანაც I - ფაზის თემა წარმოადგენს „სამოქალაქო აქტივიზს“. ამ ეტაპზე პროგრამის მონაწილეები გეგმავენ და ანხორციელებენ აქტივობებს, რომლებიც ადვოკატირებას და პოპულარიზებას უწევს ახალგაზრდული სივრცეების არსებობა-ფუნქციონირებას. ამ მიმართულებით დაგეგმილი გამოკითხვის ჩატარება, კვლევის საფუძველზე დაგეგმილია წერილების გაგზავნა შესაბამის უწყებებთან და შემაჯამებელი შეხვედრა.

NLP- პროგრამის მეორე ფაზა გამოცხადებულია, უახლოეს რამდენიმე დღეში დასრულდება მონაწილეების მიღება, ახალი მონაწილეები ძველებთან ერთად გააგრძელებენ პროგრამაში მონაწილეობას, მეორე ფაზის თემაა „ფანდრაიზინგი“ და აღსანიშნავია, რომ NLP-მონაწილეები იმუშავებენ აქცია ღონისძიება „ის მაინც არსებობს“ დაგეგმვა განხორციელებაში.

სულ ამ ეტაპზე პროგრამაში 10 ახალგაზრდა იღებს მონაწილეობას.

საქველმოქმედო პროგრამა „ის მაინც არსებობს“

ტრადიციული აქცია-ღონისძიება „ის მაინც არსებობს“ 2021 წელს, მეათედ გაიმართა, ტრადიციული მიზნებითა და ამოცანებით.

2021 წლის „ის მაინც არსებობს“ განსაკუთრებული იყო იმ შედეგებით რაც ორგანიზაციამ აქცია ღონისძიების ფარგლებში შეძლო მიეღწია.

- აქცია-ღონისძიების ფარგლებში ორგანიზაცია დაეხმარა - 23 ოჯახსა და 94 ბავშვს;
- ტრადიციულ ღონისძიებას ჰყავდა 27 მსხვილი მხარდამჭერი (კომპანიები, ინდივიდები);
- აქცია ღონისძიებას ჰქონდა ეფექტური საინფორმაციო კამპანიაც - 33 გამოქვეყნებულ პოსტს, მედიაში გავრცელებულ 5 მასალას (გადაცემები, სტატიები) და ღონისძიების ივენთს, მხოლოდ ჩვენს გვერდზე დაახლოებით 9000 ადამიანი გაეცნო.
- აღსანიშნავია ის მაინც არსებობს ღონისძიება - რომელიც შარშან პირველად ღია ცის ქვეშ გაიმართა და მას 100-ზე მეტი ადამიანი დაესწრო.

გარდა ამისა RICDOG-i აქტიურად მუშაობს საერთაშორისო დონეზე პროექტების წერის მიმართულებით, როგორიცაა Erasmus+ პროექტები. ამ ეტაპზე ორგანიზაციამ გადააგზავნა 40-მდე “მანდატი”, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიმართულებით ისეთ ქვეყნებთან ერთად როგორებიცაა: ესტონეთi, სომხეთი, იტალია, თურქეთი, ლიეტუვა, უნგრეთი, ესპანეთი. ორგანიზაციამ ბოლო 1 წლის განმავლობაში განახორციელა 2 გაცვლითი პროგრამა „V>D>O Makers” და „YOUNG POWER”. 1 წლის განმავლობაში ორგანზიციას ჰქონდა 9 გაცვლითი პროგრამა, ხოლო სულ მონაწილეობა მიიღო 30 ადამიანმა, საიდანაც 11 გახლდათ ორგანიზაციის წევრი.

საერთო ჯამში წლის მანძილზე ორგანიზაციამ გაახორციელა 16 პროექტი/პროგრამა, ამ ეტაპზე ორგანიზაციას აქვს 12 მიმდინარე პროგრამა/პროექტის: მოხალისეთა კლუბი, NLP პროგრამა, Game ზონა, “ART is FUN”, “RICDOG თამაშები” USAID - სამოქალაქო განათლების პროგრამა, პროექტების წერის ჯგუფი, Resource and Analysis Center “Society and Environment”, ACCESS, “შეიქმენი მომავალი” “ძლიერი თვითმართველობა- აქტიური ახალგაზრდებისთვის” საიდანაც 5 წარმოადგენს პროგრამას ხოლო 7 პროექტს.

2). **ორგანიზაციის იმიჯის განვითარება.**

ორგანიზაცია აქტიურად მიჰყვება PR სტრატეგიას და ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს საკუთარი აქტივობებით ორგანიზაციის იმიჯის განვითარებას.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ სოციალური ქსელის „FACEBOOK"-ის სტატისტიკაზე დაყრდნობით - ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე ადამიანთა ჩართულობა - პოსტების ნახვის, მოწონების, გაზიარების და ყურადობის მაჩვენებლები 45%-ით გაზრდილია.
ამ ეტაპზე ორგანზიაციას ჰყავს 10 583 გამომწერი.

მნიშვნელოვანია - ინსტაგრამისა და ტიკ-ტოკის სოც.ქსელების პლატფორმების აქტიური გამოყენება. ისტრაგრამზე გვყავს 281 გამომწერი, 509 პოსტი გვაქვს გამოქვეყნებული. ხოლო ტიკტოკზე 580 მოწონება გვაქვს.

ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ადგილობრივ მედია საშუალებებთან, უახლოესი წლის მანძილზე ორგანიზაციამ სხვადასხვა მედია საშუალებებში იყო მიწვეული, დაახლოებით 40-ჯერ (რომელიც ეხებოდა ორგანიზაციის სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების გაშუქებას, სხვადასხვა პოლიტიკური თუ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე სასაუბროდ, თავად ორგანიზაციის სტრუქტურულ ცვლილებებსა და დაბადების დღეს, ორგანიზაციაში მომუშავე პირების ინდივიდუალურ გაშუქებებზე). აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანიზაციას ადგილობრივი თუ ცენტრალური არხები აქტიურად აშუქებენ სხვადასხვა მიმდინარე პოლიტიკურ თუ სხვა თემებთან მიმართებით.
ორგანიზაცია აქიურად ერთვება ეროვნულ თუ საერთაშრისო დონეზე დაგეგმილ ღონისძიებებში, იცავს მის იმიჯს და ცდილობს გააცნოს ორგანიზაცია როგორც საერთაშორისო ისე ეროვნულ დონეზე მომუშავე დონორებს. წლის მანძილზე დაახლოებით 70-ზე მეტ შეხვედრას დავესწარით ორგაზაციის სახელით. გარდა ამისა, ორგანიზაცია ხშირად არის მიწვეული ფოკუს ჯგუფებში სამუშაოდ რომელიც ეხება როგორც მრავალფეროვან თემებს, ისე დონორებთან მუშაობის გაუმჯობესებას.

RICDOG ბაღდათის მუნიციპალიტეტთან ერთად იმუშავა ბაღდათის ახალგაზრდული სტრატეგიის შემუშავებაზე. ასევე აღნიშნული სტრატეგიის საჯარო განხილვაშიც მიიღო მონაწილეობა და წარუდგინა ბაღდათის საკრებულოს. ამ ეტაპზე ველოდებით დოკუმენტის დამტკიცებას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წელს პირველად ქ. ქუთაისის მერია გახდა **"ღია მმართველობის** პარტნიორობის" ლოკალური პროგრამის წევრი, RICDOG გახლავთ ამ სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი. პროგრამის მიზანია გაუმჯობესდეს ადგილობრივი თვითმართველობის მუშაობა და გახდეს განჭირვალე და ანგარიშვალდებული მოსახლეობის წინაშე.

გარდა ამისა RICDOG პარტნიორია ქუთაისის მუნიციპალიტეტის პროექტში „**ქუთაისის დაბალემისიიანი განვითარება ურბანული დაგეგმარების გზით**", რომლის მიზანია ქ. ქუთაისის მდგრადი ურბანული განვითარებისთვის ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა დაბალემისიანი ტრანსპორტისა და მიწის მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკის სადემონსტრაციოდ. პროექტის ფარგლებში RICDOG გახლავათ სამუშაო ჯგუფის წევრი.

უნდა აღინიშნოს ისიც რომ ორგანზიაცია 1 წლის მანძილზე აქტიურად მუშაობს სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტებზე და კვლევებზე მუშაობს, კერძოდ :

- ✓ ორგანიზაციამ ქ. ბაღდათის მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით შეიმუშავა ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი.

ასევე ორგანიზაციის გენერალური მდივანი გახლავთ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი.

გამოწვევები:

ორგანიზაციაში კვლავ რჩება რამდენიმე საკითხი მთავარ გამოწვევად, რომელზედაც გამგეობა 2022 წელს აქტიურად გააგრძელებს მუშაობას:

1. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა (ორგანიზაცია აქტიურად იმუშავებს სხვადასხვა დონორებთან, ბიზნეს სექტორთან და დონაციაზე);
2. ორგაიზაციის სტრუქტურის განვითარება (საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციას ახალი - 10 - წევრი შეემატა. სულ ამ ეტაპზე გვყავს 20 წევრი);
3. ორგანიზაციის პრიორიტეტი ხდება ორგანიზაციის ოფისის მოწესრიგება და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რომელზეც მომავალი წლის განმავლობაში აქტიურად იმუშავებს;
4. ახალგაზრდული სივრცის "Game ზონა" გაძლიერება და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.

3). ორგანიზაციის სტრუქტურის განვითარება და გაძლიერება

ორგანიზაციაში აქტიურად მიმდინარეობს სუპერვაიზინგის განხორციელების პროცესი. ორგანიზაციის ყველა წევრმა შეავსო წევრთა კარიერული განვითარების შესაბამისი ფორმა, რომელთა გამოყენებით დაიწყო მათი კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობა.
„ორგანიზაციის წევრთა მატერიალური და არამატერიალური წახალისების სისტემის დანერგვისთვის“ ორგანიზაციამ პერმამენტული სამუშაოები ჩაატარა ორგანიზაციის წევრთა მონაწილეობით. 2 თვის განმავლობაში შემუშავდა 3 სახის მოდელი და მოეწყო მათი განხილვები. ამ ეტაპზე, ორგანიზაცია ნაწილობრივ უზრუნველყოფს 3 ორგანიზაციის წევრის ფინანსურ საჭიროებას. გარდა ამისა ორგანიზაციში კონტრაქტზე მუშაობს 2 ადამიანი. ხოლო ორგანიზაციაში სახელფასო აღრიცხვაზე იმყოფება 6 გამგეობის წევრი.
ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ორგანიზაციის წევრთა ზოგადი უნარების განვითარებისა და სამოქლაქო ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ერთის მხრივ სუპერვაიზინგის განხორციელების პროცესში წევრთა უნარ-ჩვევებისა თუ კომპეტნციების განვითარებაზე მუშაობა ინდივიდუალურად მიმდინარეობს, ხოლო საერთო - წევრთა შეხვედრების განმავლობაში გუნდური პრინციპით. ამ ეტაპზე სულ ჩატარდა 2 შეხვედრა: გენდერთან მიმართებით ჩატარებული ვორქშოპი და ორგანიზაციულ კულტურასთან დაკავშირებული შეხვედრა. გარდა ამისა, ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს გაცვლით პროგრამებზე, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციის წევრების კვალიფიკაციის, უნარ ჩვევების გაზრდას. ბოლო 1 წელიწადში ორგანზიაციამ განახორციელა 9 გაცვლითი პროგრამა (ლატვია, სომხეთი, უნგრეთი (3 ჯერ), პოლონეთი და საქართველო). აღნიშნულ გაცვლით პროგრამებში 11-მა წევრმა მიიღო მონაწილეობა).
ორგანიზაციისათვის შესაბამისი კადრების მოძიება ან/და ფორმირების მიმართულებით ორგანიზაციამ გაანახლა ნეირო ლიდერობის პროგრამა - შეიცვალა განხორციელების პერიოდი, დაფორმარტირდა მუშობის სპეციფიკა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროგრამა რომელშიც აღნიშნული პერიოდისათვის 9 ახალგაზრდა იღებს მონაწილეობას.

გენდერული თანასწორობის კონცეფცია

ბოლო 6 თვის განმავლობაში ჩატარებულმა მოკვლევამ გენდერული თანასწორობის კონცეფციის მიმართულებით აჩვენა და გამოკვეთა შემდეგი საკითხვები:

- ორგანიზაციის გამგეობა და წევრები გენდერული თანასწორობის საკითხებთან მიმართებით ფლობენ შესაბამის საბაზისო კომპეტენციებსა და ინფორმაციას;

- ორგანიზაციაში აღმასრულებელ ორგანოში უმეტესად წარმოდგენილია ქალები, და გენედერული ბალანსი 25%/75%-ზეა (მონაცემი დათვლილია გამგეობაში ხმის მიცემის უფლებით მოსარგებლე პირების მიხედვით), ხოლო წევრებთან მიმართლებით ეს მაჩვენებელი 20%-ია.

ძირითადი რეკომენდაციები:

- მოხდეს წევრთა ცნობიერების ამაღლებაზე (გენდერული თანასწორობის) მიმართული აქტივობების/პროგრამების/ღონისძიებების განხორციელება;
- ორგანიზაციამ გააძლიეროს მუშაობა გენდერული ბალანსის დაცვაზე, რათა როგორც წევრთა რიგებში ასევე გამგეობაში წარმოდგენილი იყვნენ მამაკაცები და ქალები თანაბარი ან თანაბართან მიახლოებული რაოდენობით.

მწვანე ოფისის კონცეფცია

ბოლო 1 წლის განმავლობაში ჩატარებულმა მოკვლევამ მწვანე ოფისის კონცეფციის მიმართულებით აჩვენა და გამოკვეთა შემდეგი საკითხვები:

- ორგანიზაცია აღჭურვილია ეკო ნათურებით;
- 90% სრულდება კონცეფციის კომპონენტი - ოფისში არასამუშაო დროს მოწყობილობებისა და ელექტო ენერგიის დაზოგვასთან დაკავშირებით;
- მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არსებულ ოფისში ბუნებრივი განათების მაქსიმალური გამოყენება;
- ოფისში ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველა შეძენილი ტექნიკა თავის მხრივ სხვადასხვა სტანდარტით ითვლება ეკომეგობრულად;
- მწვანე ოფისის კონცეფციის ქაღალდთან და მაკულატურასთან დაკვაშირებული პუნქტები 80%-ით სრულდება.